

საგანმანათლებლო კვლევები და მათი როლი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში

ნატო ბერიძე, სვეტლანა ადამია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: natoberidze28@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2023.30.20>

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები და საუბარია მათ როლზე სწავლა-სწავლების გაუმჯობესების მიმართულებით. აღნიშნული კვლევები საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მიღწევების, შედეგების ანალიზის, განათლების სისტემაში არსებული საჭიროებების, თანამედროვე გამოწვევებისთვის მზადყოფნის ქმედითი ინსტრუმენტი. შესაბამისად კვლევის შედეგების ანალიზი და მათი მიზანმიმართულად გამოყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა.

კვლევითი უნარ-ჩვევები არაა მოწყვეტილი მასწავლებლის ყოველდღიურ საქმიანობასაც, 21-ე საუკუნის მასწავლებლის საკლასო ოთახი ისედაც არის მიგნებებისა და აღმოჩენების საინტერესო სივრცე, პედაგოგები ხომ საკუთარ საქმიანობაზე დაკვირვებას, ხშირად დაუგეგმავად, მაგრამ მაინც ყოველდღიურად ახორციელებენ.

მკვლევარი მასწავლებელი, ეს არის პიროვნება, რომელიც ყოველდღიურად აკვირდება, უსმენს მოსწავლეს და ცდილობს ხელი შეუწყოს ისეთი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი) ავლენს პოზიტიურ და შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობით უნარებს.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო კვლევა, სწავლების ხარისხი, მკვლევარი მასწავლებელი.

თანამედროვე განათლების სისტემა ზოგადი განათლების მიმართულებით ახორციელებს არაერთ რეფორმას, რომელთა მიზანია ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება და XXI საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მოქალაქის აღზრდა. ეროვნული სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულებაა: „შეუქმნას მოსწავლეს პირობები ინფორმაციის მოპოვების, იმ უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების გასავითარებლად, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დასჭირდება“ [ზგემი].

ტექნოლოგიური რევოლუციის ფონზე ადამიანისთვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, შესაბამისად, მისი ეფექტიანად

გამოყენების უნარი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მოსწავლეს უნდა შეემდოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, ხარისხისა და დანიშნულების მიხედვით, ამ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში კი სკოლის როლი განუზომლად დიდია.

ბოლო რამდენიმე წელია, რაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არაფორმალური განათლების ელემენტების შემოტანასა და დამკვიდრებას ფორმალურ განათლებაში. საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები ცალსახად მიუთითებს პროექტებით სწავლების დადებით როლზე, რაც აისახება მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობაზე.

სწავლა-სწავლების პროცესი წარმოდგენილია იზოლირებულად, ჩაკეტილ საკლასო სივრცეში. თანამედროვე ტექნოლოგიებმა და გაციფრულების ეპოქამ მკაფიოდ დაანახა საგანმანათლებლო სისტემის ყველა რგოლს საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების შედეგების ანალიზისა და ინტერვენციების განხორციელების აუცილებლობა. სწავლა ცოცხალი პროცესია, მასწავლებელს ყოველდღიურად უწევს დააკვირდეს საკუთარ პედაგოგიურ საქმიანობას და დასვას კითხვები: **რას ვასწავლი? როგორ ვასწავლი? რამდენად მივაღწიე დასახულ მიზანს? რა და რატომ გაუჭირდა ჩემს მოსწავლეს?** სადაც ჩნდება კითხვები, იქ ჩნდება სასკოლო კვლევების აუცილებლობა, რომლის მთავარი მიზანია სასწავლო გარემოსა და სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. საგანმანათლებლო კვლევების აუცილებლობაზე არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებშიც მიუთითებენ. სწორედ ამ მიზნით ჩვენი ქვეყანა 2006 წლიდან მოყოლებული ჩართულია არარერთ საერთაშორისო კვლევაში:

✓ წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (**PIRLS**) / **Progress in International Reading Literacy Study**, რომელიც მიზნად ისახავს 9-10 წლის მოზარდთა კითხვის უნარის შეფასებასა და იმ ფაქტორების კვლევას, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა წიგნიერებაზე;

✓ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა (**TIMSS**) / (**TIMSS – Trends in International Mathematics and Science Study**), რომლის ფარგლებში ხდება 9-10 და 13-14 წლის მოზარდების ცოდნის შეფასება მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში და იმ ფაქტორების კვლევა, რომლებიც გავლენას ახდენს მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების პროცესზე;

✓ მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (**PISA**) / **Programme for International Student Assessment**, რომელიც მიზნად ისახავს, შეაფასოს 15 წლის მოზარდების მიერ სკოლაში შეძენილი ცოდნა და უნარები სამ სფეროში: კითხვა, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ეს ის ასაკია, როცა მოსწავლეებს თითქმის დასრულებული აქვთ სავალდებულო განათლების კურსი. შესაბამისად, **PISA** ამოწმებს მათ

მზაობას, გაუმკლავდნენ ყოველდღიურ გამოწვევებს იმ ცოდნისა და უნარების გამოყენებით, რაც მათ სკოლაში მიიღეს.¹

აღნიშნული კვლევები საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მიღწევების, შედეგების ანალიზის, განათლების სისტემაში არსებული საჭიროებების, თანამედროვე გამოწვევებისთვის მზადყოფნის ქმედითი ინსტრუმენტი. შესაბამისად, კვლევის შედეგების ანალიზი და მათი მიზანმიმართულად გამოყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა.

საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაციის მკვლევარი, ია კუტალაძე, ნაშრომში „საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში“ მიმოიხილავს რა ზემოაღნიშნულ კვლევებს, სვამს კითხვას: **რატომ არის ჩვენი განათლების სისტემისთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობა და გამოცდილების გაზიარება?** ჩვენ ვიზიარებთ მკვლევრის მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო თუ ზოგადად პედაგოგიური კვლევების ანალიზი გვიჩვენებს რა არის დასახვეწი თუ შესაცვლელი სწავლების პროცესში, რაზე უნდა გამახვილდეს განსაკუთრებული ყურადღება და რატომ? ამგვარი კვლევები მნიშვნელოვანია განათლების რეფორმის (და არამხოლოდ) მონიტორინგისთვისაც. ეს კვლევები ტარდება გარკვეული პერიოდულობით, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ დინამიკაში მოხდეს პროცესზე დაკვირვება. საერთაშორისო თუ ადგილობრივი „კროსკულტურული შედარებითი კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალი განათლების მიღწევის საუკეთესო წინაპირობაა“ [კუტალაძე, 2012: 7].

გლობალური კვლევები, თავის მხრივ, საფუძველი შეიძლება გახდეს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევების, რომელთა ფოკუსი და მასშტაბურობა ბევრად უფრო ვიწროა და ხშირ შემთხვევაში, შემოიფარგლება ერთი კლასის, სკოლის, თემის საჭიროებების განსაზღვრითა და კვლევით. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მასწავლებელს უნდა ჰქონდეს: ზოგადი განათლების სისტემის ფართო ხედვა. ეცნობოდეს ზოგადად განათლების სფეროში და სასკოლო სისტემებში მიმდინარე მოვლენებს, თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურას და საგანმანათლებლო კვლევებს ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე. მიღებულ გამოცდილებას იყენებდეს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში და, ასევე, უზიარებდეს კოლეგებს.²

ზემოაღნიშნული დოკუმენტით, წამყვანი და მენტორი მასწავლებლის კომპეტენციათაგან ერთ-ერთია კვლევითი კომპეტენციების ფლობა, ტერმინი კვლევა თუ მკვლევარი მასწავლებელი თავდაპირველად თითქოს ერთგვარ პროტესტს იწვევდა ამ

¹ საერთაშორისო კვლევების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.

² მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

პროფესიის წარმომადგენლებში, ვინაიდან კვლევა სამეცნიერო მოღვაწე-ობასთან ასოცირდებოდა, თუმცა დღეს, საბედნიეროდ, მასწავლებელთა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით შეიცვალა, რადგან მათმა უმრავლესობამ გააცნობიერა, რომ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა არ მოითხოვს სამეცნიერო კვლევით კომპეტენციებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბაზისო კვლევითი უნარები არ უნდა გააჩნდეს მას. მკვლევარ მასწავლებელს უნდა შეეძლოს საჭიროებების იდენტიფიცირება, რანჟირება, საკვლევი თემის გამოკვეთა, მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა, სწორი მეთოდოლოგიის შერჩევა (რაოდენობრივი, თვისობრივი), მთლიან პროცესზე დაკვირვების დღიურის წარმოება, მიღებული შედეგების ანალიზი და შეფასება, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და სამიზნე აუდიტორიისთვის გაზიარება.

კვლევითი უნარ-ჩვევები არაა მოწყვეტილი მასწავლებლის ყოველდღიურობას, XXI საუკუნის მასწავლებლის საკლასო ოთახი ისედაც არის მიგნებებისა და აღმოჩენების საინტერესო სივრცე, პედაგოგები ხომ საკუთარ საქმიანობაზე დაკვირვებას, ხშირად დაუგეგმავად, მაგრამ მაინც ყოველდღიურად ახორციელებენ.

მკვლევარი მასწავლებელი, არის პიროვნება, რომელიც ყოველდღიურად აკვირ-დება, უსმენს მოსწავლეს და ცდილობს ხელი შეუწყოს ისეთი სასწავლო გარემოს ჩამო-ყალიბებას, რომელშიც სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი) ავლენს პოზიტიურ და შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლო-ბით უნარებს.

ლიტერატურა:

1. ორგანული კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;
3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა;
5. ია კუტალაძე, საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში, თბილისი 2012;
6. ლუის კოფენი, ლოურენს მანიონი, ქეთი მორისონი, კვლევის მეთოდები განათლებაში, მეექვსე გამოცემა;
7. <https://naec.ge/#/ge/post/1499>
8. <https://naec.ge/#/ge/post/1496>
9. <https://naec.ge/#/ge/post/1497>

Nato Beridze, Svetlana Adamia
Batumi Shota Rustaveli State University

Educational research and their role in improving the quality of education

Abstract

The article reviews international educational studies and talks about their role in improving teaching and learning. The mentioned studies are an effective tool for the analysis of the achievements in the educational space, the needs in the education system, and the readiness for modern challenges. Therefore, analysis of research results and their purposeful use is the best way to improve the quality of the educational process.

Research skills are not separated from a teacher's daily activities, the XXI century teacher's classroom is already an interesting space for findings and discoveries, teachers observe their own activities, often unplanned, but still daily.

A research teacher is a person who daily observes, listens to the pupils and tries to facilitate the formation of such a learning environment in which all links of the school community (pupils, teacher, parents) demonstrate positive and result-oriented cooperation skills.

Key words: educational research, teaching quality, research teacher.

რეცენზენტი: პროფესორი ვიქტორ იზბულე